ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიხეილ გავას „ოქროს ნახტომი"

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი ო. გელაშვილი ბაკურიანიდან ტელეფონით გვატყობინებს.

## უხვმოსავლიანი დღე

ბაკურიანი, 10 მარტი. გუშინ ბაკურიანში მედლების ერთი კომპლექტიც არ გათამაშებულა, დღეს კი სამ სახეობაში გამოვლინდნენ სპარტაკიადის ჩემპიონები. ხუთკაანარჩენ სახეობაში შეჯიბრებამ იუნიორთა შორის გამარჯვებულები დაასახელა. ბრძოლა დაამთავრეს ორჭიდელებმა, 70-მეტრიანი ტრამპლინიდან მხტომელებმა, სწრაფდაშვებაში მოასპარეზე ვაჟებმა, აგრეთვე, იუნიორებმა, რომლებიც პირველობისთვის ერთადგილიანი და ორადგილიანი ციგებით იბრძოდნენ.

ორჭიდელებისა და მოზარდი მოციგავეებისთვის სპარტაკიადაც ამით დამთავრდა. დანარჩენებს კი ახალი ბრძოლები ელით. სამთომოთხილამურეებს—სპეციალური და გიგანტური სლალომი, „მფრინავ მოთხილამურეებს" — 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა, მოციგავეებს — ქალთა და ვაჟთა ტურნირები.

ჩნდა. ეს უკვე წარმატება იყო, მაგრამ ბრძოლა გრძელდებოდა. სხვა ფავორიტები ლიდერებს ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ. გორკელი სპორტის ოსტატი მ. ვერეტენიკოვი 79,5 მეტრზე გადახტა, პეტროზავოდსკელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ი. ივანოვი — 78,5 მეტრზე. ლენინგრადელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებმა ი. კალინინმა და ა. ჟეგლანოვმა, აგრეთვე სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გ. ნაპალკოვმა 78 მ აჩვენეს.

(დასასრული მე-2 გვ.).

• • •

სურათებზე: ზევით — მ. გავას მეორე „ოქროს ნახტომი", ქვევით — მ. გავა და გულშემატკივრები.

გ. რუხაძის ტელეფოტოები. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 50 (5080)

1974 წ. 12 მარტი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## „მადლობა ჩემს კოლექტივსა და მწვრთნელს"

70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში 67 ვაჟი ეჯიბრებოდა ერთმანეთს (იუნიორები ხვალ იასპარეზებენ). მათ შორის იყო მასპინძელთა გუნდის ოთხი წევრი სპორტის დამსახურებული ოსტატის, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონ კ. წაქაძის მეთაურობით. „მფრინავ მოთხილამურეთა" შეჯიბრების მონაწილეთაგან თითქმის ყველა უმაღლესი კვალიფიკაციის სპორტსმენია. სტარტზე გამოსულთა შორის მხოლოდ რვა პირველთანრიგოსანი იყო. ამიტომაც მაყურებლები და სპორტსმენები სამართლიანად ელოდნენ მაღალ შედეგებს.

ბრძოლა უშეღავათო იყო, რასაც ერთი საინტერესო ფაქტიც ადასტურებს: 134 ჩასათვლელი ნახტომიდან, მხოლოდ 9 გამოდგა ტრამპლინის საპროექტო სიმძლავრეზე დაბალი. წინადღით შეჯიბრების მთავარი მსაჯის მოადგილემ, მთავარმა არბიტრმა პ. დემენტიევმა მოსალოდნელ პრიზიორთა დასახელებისგან თავი შეიკავა, ოღონდ ეს თქვა:

— გამარჯვების შანსი ყველას თანაბარი აქვს. არ გამიკვირდება ჩემპიონობა ისეთმა სპორტსმენმა რომ მოიპოვოს, რომელსაც სპეციალისტები დღემდე დიდ წარმატებას არ უწინასწარმეტყველებდნენ. მართლაც, შეჯიბრების დროს არნახული ამბავი მოხდა: საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ოქროს მედალი მოიხვეჭა სპორტსმენმა, რომელმაც გრენობლის ოლიმპიადისთვის მზადების პერიოდში ერთ-ერთი საწვრთნელი მეცადინეობის დროს მუხლი ისე იტკინა, რომ ყველას ეგონა, ეს კაცი სათხილამურო სპორტისთვის აღარ გამოდგებაო. მაგრამ სპორტის სიყვარულმა და შეუპოვარმა ვარჯიშმა თავისი გაიტანა...

დღეს ბაკურიანის „დინამოს" სპეციალიზებული სამთო-სათხილამურო სპორტული სკოლის მასწავლებელი, სპორტის ოსტატი მიხეილ გავა და მისი მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნ. თვაური დამსახურებულად ზარობდნენ. თუმცა გავასთვის ეს გამარჯვება იოლი როდი იყო.

თავდაპირველად დაწინაურდა 24 წლის სპორტის ოსტატი ა. სუსლიკოვი, რომელიც 80,5 მეტრზე გადახტა: პირველი ცდის დროს მისი შედეგი ვერავინ გააუმჯობესა. სუსლიკოვის მაჩვენებელი მხოლოდ ფალუნის მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორმა, სპორტის ოსტატმა ა. ბოროვიტინმა გაიმეორა, მაგრამ იგი სტილში მაინც ჩამორჩა მეტოქეს. რაც შეეხება ჩემპიონს, მან 80 მეტრზე იფრინა და გადამწყვეტი სერიის დაწყებამდე III ადგილზე აღმო-

## სსრკ ხალხთა ზამთრის სპარტაკიადა 1974



## გუნდური შედეგები

მდგომარეობა 11 მარტისთვის

### რესპუბლიკები, ოლქები, ქალაქები

| | ბაკურიანი | სვერდლ. | ჯამი |
|---|---|---|---|
| მოსკოვი | 276 | 185 | 461 |
| ლენინგრადი | 255,5 | 122 | 377,5 |
| ლენინგრ. ოლქი | 244 | 0 | 244 |
| გორკის ოლქი | 151 | 83 | 234 |
| პერმის ოლქი | 182 | 24 | 206 |
| მოსკოვის ოლქი | 114 | 71 | 185 |
| სვერდლ. ოლქი | 109,5 | 53 | 162,5 |
| უკრაინა | 118 | 43 | 161 |
| საქართველო | 128 | 0 | 128 |
| ყაზახეთი | 38 | 89 | 127 |
| ლატვია | 104 | 18 | 122 |
| ესტონეთი | 86 | 20 | 106 |
| კემეროვოს ოლქი | 86 | 14 | 100 |
| კიროვის ოლქი | 71 | 26 | 97 |
| ბელორუსია | 66 | 29 | 95 |

### სპორტსაზოგადოებები და უწყებები

I ჯგუფი

| | | | |
|---|---|---|---|
| „დინამო" | 449,5 | 290 | 739,5 |
| „ბურევესტნიკი" | 330,5 | 207 | 537,5 |
| „სპარტაკი" | 426,5 | 65 | 491,5 |
| შეიარაღ. ძალები | 305 | 116 | 421 |
| „ტრუდი" | 232,5 | 168 | 400,5 |
| „შრ. რეზერვები" | 164 | 34 | 198 |
| „ზენიტი" | 118 | 54 | 172 |
| „ლოკომოტივი" | 93 | 25 | 118 |

II ჯგუფი

| | | | |
|---|---|---|---|
| „ვარპა" | 104 | 0 | 104 |
| „ენბეკი" | 0 | 60 | 60 |
| „ავანგარდი" | 24 | 32 | 56 |
| „უროჟაი" (რსფსრ) | 23 | 7 | 30 |
| „კრასნოე ზნამია" | 18 | 10 | 28 |
| „კოლმეურნე" | 11 | 0 | 11 |
| „აშხატანქი" | 10 | 0 | 10 |

## გუშინ...

ბაკურიანში დამთავრდა ქალებისა და ქალიშვილების შეჯიბრება გიგანტურ სლალომში. ქალთა შორის ჩემპიონი გახდა სპორტის ოსტატი გ. შიხოვა (მოსკოვის ოლქი, ცსკა) — 1.45,37, II ადგილზეა ნ. მერკულოვა (მოსკოვის „სპარტაკი") — 1.48,01, III — ნ. პერჩატკინა (ბაშკირეთის ასსრ, „სპარტაკი") — 1.48,50. ქალიშვილებში იმარჯვა ტ. პერჩატკინამ (ბაშკირეთის ასსრ, „სპარტაკი") — 1.49,30, თ. კოზანაშვილმა VI ადგილი დაიკავა — 1.59,28. იუნიორთა შორის 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა მოიგო ა. პეტროვმა (ტომსკის ოლქი, „სპარტაკი") — 214,8 ქულა (ნახტომები 77 და 79 მ).





# სსრკ ხალხთა ზამთრის სპარტაკიადა 1974

დასასრული

ცუდად არც საბჭოთა კავშირის სათხილამურო სპორტის ვეტერანი ქ. წაქაძე გამოსულა — 76,5 მ. მეორე ცდაზე ბრძოლამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია, ვინაიდან ამ უკანასკნელ ნახტომზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. თავი არც სუსლიკოვს დაუზოგავს, არც ჟეგლანოვს, ივანოვსა და კალინინს. არც სხვა მონაწილეებს ჰქონდათ ურიგო მაჩვენებლები, მაგრამ ნაპალკოვსა და გავასავით შორს — 79,5 მეტრზე ვერავინ გადახტა.

შეჯიბრება დამთავრდა. ათასობით მაყურებელმა უკვე იცოდა, რომ ოქროს მედალი ბაკურიანში რჩებოდა. ისინი ტაშით ულოცავდნენ გამარჯვებას დღევანდელი ასპარეზობის გმირს — მიხეილ გავას, რომელმაც ტრამპლინიდან ხტომის ისტორიაში საქართველოს სპორტსმენთა შორის მეორემ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის სახელი.

მიხეილს ოთახში ვეწვიეთ, გამარჯვება მივულოცეთ, ახალი წარმატება ვუსურვეთ და ვთხოვეთ ორიოდე სიტყვა ეთქვა სამერმისო გეგმებზე.

— ჩემპიონობის სიხარული პირველად გამოვცადე. კიდევ უფრო მიხარია ის, რომ ჩემს რესპუბლიკას რაღაც ვარგე, რომ „დინამოს" სკოლის დირექციის მხარდაჭერა გავამართლე. სკოლის კოლექტივი ყველაფრით მიწყობდა ხელს, რომ სპარტაკიადისთვის კარგად მოვმზადებულიყავი. მადლობას ვუძღვნი ჩემს მწვრთნელს ნიკოლოზ თვაურსაც. ახლა მინდა 16 მარტს 90-მეტრიან ტრამპლინზე ხტომაშიც არ შევირცხვინო თავი. რა თქმა უნდა, იქ საპრიზო ადგილის მოპოვება უფრო ძნელი იქნება, მაგრამ მე კმაყოფილი დავრჩები, თუ საქართველოს ნაკრებს ოციოდე ქულას მაინც შევძენ.

საუბარი აქ შევწყვიტეთ, ვინაიდან ჩემპიონის ოთახს ჟურნალისტთა მეორე ჯგუფი ეწვია.

ტექნიკური შედეგები: მ. გავა (საქართველო, „დინამო") — 225,9 (ნახტომები — 80, 79,5 მ), გ. ნაპალკოვი (გორკის ოლქი, „სპარტაკი") — 221,7 (78, 79,5), ს. სუსლიკოვი (გორკის ოლქი, „ბურევესტნიკი") — 219,3 (80,5, 78), ა. ბოროვიტინი (კიროვის ოლქი, „დინამო") — 215,5 (80,5, 75), ა. ჟეგლანოვი (ლენინგრადი, „შრომითი რეზერვები") — 215,2 (78, 77), ი. კალინინი (ლენინგრადი, ასკ) — 211,7 (78, 74,5).

ქ. წაქაძემ 206,7 ქულა მოაგროვა (ნახტომები 76,5, 76) — X ადგილი. ამით მან გუნდს 21 ქულა მოუტანა.

გუნდური შედეგები: ლენინგრადი — 91 ქულა, გორკის ოლქი — 88, კიროვის ოლქი — 69, საქართველო — 58, მოსკოვი — 38, სვერდლოვსკის ოლქი — 36.



## კარგი ნახტომი არ კმარა

ორჭიდის სტარტზე 106 ვაჟი და იუნიორი გამოვიდა. საკავშირო პირველობა ასეთი მასობრივი ჯერ არ ყოფილა. ეს განსაკუთრებით აუცილებელია ახლა, როცა საბჭოთა სპორტსმენები ფალუნის მსოფლიო ჩემპიონატში მეტად უხეიროდ გამოვიდნენ.

მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მონაწილეთა ნახევარზე მეტი პირველთანრიგოსანი გახლდათ, ხოლო საქართველოს გუნდის სამი წევრი მეორეთანრიგოსანი იყო.

გუშინ ორჭიდელები პირველად 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში შეეჯიბრნენ ერთმანეთს. ვაჟთა შორის ამ სახეობამ მოსკოველი სპორტის ოსტატი 26 წლის ვ. სმირნოვი დააწინაურა. სმირნოვის ორივე ჩასათვლელი ცდა დიდოსტატური იყო — 82, 84,5. ამით მან 223,5 ქულა მოაგროვა და უახლოეს მეტოქეს, 20 წლის პირველთანრიგოსან ა. ბარანოვს 14,3 ქულით გაუსწრო (ბარანოვი 77,5 და 79 მეტრზე გადახტა).

იუნიორთა ტურნირმა ლენინგრადელი სპორტის ოსტატი ვ. კოპაევი დააწინაურა — 197,4 (ნახტომები — 75, 76 მ.) მისი მაჩვენებელი დღის საერთო ჯამში მეხუთე აღმოჩნდა.

ვაჟებიდან ბევრმა ვერ შეინარჩუნა გუშინ მოპოვებული პოზიციები. 15 კმ-ზე რბოლის მაჩვენებლებს ადგილების საბოლოო განაწილებაში მუდამ დიდი ცვლილებები შეაქვს. ახლაც ასე იყო. სმირნოვს რბოლაში ხელი მოეცარა და ლიდერი ორჭიდის ჯამში ექვსეულის მიღმა დარჩა. სამაგიეროდ, ბარანოვმა მეორე გამოცდაც კარგად ჩააბარა — 15 კმ-ზე 50,41 აჩვენა, ორჭიდის ჯამში 400,55 ქულა მოაგროვა და ლიდერობა ასპარეზობის დამთავრებამდე ხელთ იგდო.

შესანიშნავად ირბინა კოპაევმა — 49,21. როცა მსაჯთა კოლეგიამ ორი დღის მაჩვენებლები შეაჯამა, კოპაევს აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი აღმოაჩნდა — 400,75 ქულა. მან ერთი გასროლით ორი კურდღელი მოკლა: სსრ კავშირის ჩემპიონიც გახდა და იუნიორთა შორის პირველობაც დაისაკუთრა.

დასამალი არ არის, რომ ორჭიდი სადღეისოდ სათანადო დონეზე არ დგას. ჩემპიონის შედეგიც კი საერთაშორისო მოთხოვნებს ვერ უპასუხებს. საქართველოში კი ორჭიდი იმდენად ჩამორჩენილია, რომ რესპუბლიკის ნაკრებმა ამ სახეობაში ერთი ქულაც ვერ მოიპოვა.

### ტექნიკური შედეგები:

ვაჟები: ა. ბარანოვი (ლენინგრადის ოლქი, „დინამო") — 400,55 ქულა, ი. ხროპოვი (ლენინგრადი, „შრომითი რეზერვები")—399,50, ფ. ზაკიროვი (ბაშკირეთის ასსრ, „ტრუდი") — 394,20, ვ. რუსინოვი (პერმის ოლქი, „ბურევესტნიკი") — 387,50, ნ. ნოგოვიცინი (კემეროვოს ოლქი, „სპარტაკი") — 386,2, ტ. ხალიანდი (ესტონეთი, „დინამო") — 386,0.

იუნიორები: ვ. კოპაევი (ლენინგრადი, „ლოკომოტივი") — 400,75 ქულა, ი. ვორონინი (გორკის ოლქი, „ბურევესტნიკი") — 370,0, ს. ბრიზგალოვი (პერმის ოლქი, შეიარაღებული ძალები) — 368,7, ა. ჩისტოვი (გორკის ოლქი, „ბურევესტნიკი")—360,11, ფ. კოლჩინი (ესტონეთი, „დინამო") — 348,7, ა. პეტრაკოვი (მოსკოვი) — 332,5.

### გუნდური შედეგები

პერმის ოლქი — 108 ქულა, ლენინგრადი — 93, ლენინგრადის ოლქი — 82, ესტონეთი — 77, გორკის ოლქი — 57, მოსკოვი — 50.

## საციგაო ტრასაზე

ყოველ დილით, უთენია, საციგაო ტრასიდან მთელ ბაკურიანს ეფინება დიქტორის ხმა: „ყურადღება! სტარტზეა..." რა ქნან? მსაჯთა კოლეგია სტარტებს ასე ადრე რომ არ აწყობდეს, შეჯიბრება ჩაიშლებოდა ან შედეგები მეტად დაბალი იქნებოდა.

ერთადგილიანი ციგებით დაშვებაში იუნიორებისა და ქალიშვილების თითო ცდის შედეგები უკვე გაგაცანით. შაბათს მათთვის კიდევ ორ-ორი დაშვება მოეწყო. მართალია, იუნიორთა მეორე ცდა ვ. ჟუკმა მოიგო — 41,694, ხოლო მესამე დაშვების დროს ი. მაშიროვმა იმარჯვა — 41,978, სამი დაშვების ჯამში ლიდერობა მაინც ი. სალტიკოვმა შეინარჩუნა (2.04,320), რომელიც მეორე ცდაზე ფინიშთან მეორე აღმოჩნდა, მესამე დაშვებისას კი მეექვსე შედეგი აჩვენა. საქართველოს გუნდის წევრმა ვ. ქუმარიტაშვილმა მეთორმეტედან მეშვიდე ადგილზე გადაინაცვლა. დღეს გადაწყდა გამარჯვების საკითხი ერთადგილიანი ციგებით შეჯიბრებაში, მერე კი ორადგილიანებით ორ-ორი დაშვება მოეწყო.

საქართველოს იუნიორებზე ვერ დავემდურებით — გუნდის ყულაბას მათ 28 ქულა შემატეს. განსაკუთრებით იმარჯვეს ორადგილიანით მოასპარეზეებმა — პირველთანრიგოსანმა გ. უგრელიძემ და მეორეთანრიგოსანმა ზ. გურეშიძემ. თანატოლთა შეჯიბრებაში მათ III ადგილი დაიკავეს, რითაც 14 ქულა მოიხვეჭეს. დანარჩენი 14 ქულა დაიმსახურეს ერთადგილიანი ციგებით მოასპარეზეებმა— ვ. ქუმარიტაშვილმა (2.51,11, IX ადგილი, 7 ქულა), თ. ქუმარიტაშვილმა (2.52,688, XI ადგილი, 5 ქულა) და უგრელიძემ (2.54,888, XIV ადგილი, 2 ქულა). დავუმატებთ, რომ ეს ჭაბუკები ბაკურიანის „სპარტაკის" წარმომადგენლები არიან. ქალიშვილთა გუნდი კი საქართველოს არა ჰყავს.

### ტექნიკური შედეგები

ერთადგილიანი ციგები (4 დაშვების ჯამი). ქალიშვილები. ლ. ხუბოტინა (მოსკოვი) — 2.50,802; ნ. ბოგდანოვა (ლენინგრადი, „სპარტაკი") — 2.51,625; ა. შელეზნიოვა (ლატვია, „ვარპა") — 2.52,902; ტ. ბოგომოლოვა (მოსკოვი, „ტრუდი") — 2.53,328; ტ. სტარბოვსკა (ლატვია, „ვარპა") — 2.54,181; გ. მაშაროვა (მოსკოვი) — 2.55,241. იუნიორები. ი. მაშიროვი (ლენინგრადის ოლქი, „სპარტაკი") — 2.47,971; ი. სალტიკოვი (მოსკოვი) — 2.48,481; ვ. ჟუკი (ლატვია, „ვარპა") — 2.48,542; ს. ვოსტიკოვი (მოსკოვი) — 2.49,670; ი. კელნიეკსი (ლატვია, „ვარპა") — 2.50,208; ვ. პარინოვი (უკრაინა, „ავანგარდი") — 2.50,365.

ორადგილიანი (ორი დაშვების ჯამი). იუნიორები. პ. მუიჟნიეკსი — ი. კრეცერისი — 1.27,822; ვ. ჟუკი — ი. კემპელისი (ყველა — ლატვია, „ვარპა") — 1.28,810; გ. უგრელიძე — ზ. გურეშიძე (საქართველო, „სპარტაკი") — 1.30,682; გ. პოლიაკოვი — ა. მიკაევი (ირკუტსკის ოლქი, „ტრუდი") — 1.30,672; ა. ორლოვი — ა. დავიდჩიკი (ბელორუსია, „კრასნოე ზნამია") — 1.31,084; ა. ანტონოვი — ა. პლოტნიკოვი (სვერდლოვსკის ოლქი) — 1.31,822.

### გუნდური შედეგები

ლატვია — 93 ქულა, მოსკოვი — 86, ლენინგრადის ოლქი — 39, ირკუტსკის ოლქი — 30, საქართველო — 28, ლენინგრადი — 26.

## კოხტაგორიდან მიტარბამდე

გრძელდებოდა ვაჟთა სწრაფდაშვების ტრასა. მოასპარეზენი არც ამ სახეობას აკლდა. მედლებისთვის ბრძოლაში 136 სპორტსმენი ჩაება.

შაბათს მათთვის მოეწყო გენერალური რეპეტიცია — გაუჩერებლად დაშვება, მაგრამ ბევრმა ამ შემოწმებას თავი აარიდა და ენერგია გადამწყვეტი სტარტისთვის შემოინახა. უმეტესობამ კი კიდევ ერთხელ წაივარჯიშა და ფინიშამდე ლაღად, ძალის დაუძაბავად ჩასრიალდა. რა თქმა უნდა, მაჩვენებლები სპორტსმენთა შესაძლებლობებს სრულად ვერ გამოხატავდა, მაგრამ ფავორიტთა შედეგებიც კი ერთმანეთს საგრძნობლად ჩამორჩებოდა. არ ვიცით, ეს რამ გამოიწვია: მონაწილეთა ტექნიკურმა ჩანაფიქრმა, თუ სიცხემ, რომელმაც ნაშუადღევს თოვლი აშკარად გააფუჭა. ერთი კი ცხადია: შედეგები ბევრად უკეთესი იქნებოდა, ასპარეზობა თანაბარ პირობებში რომ გამართულიყო.

მსაჯთა კოლეგიამ სწორედ ამინდის ჭირვეულობა გაითვალისწინა, როცა გადაწყვიტა ძირითადი შეჯიბრება ნახევარი საათით ადრე ჩაეტარებინა. გენერალურ რეპეტიციაზე თავისი როლი ყველაზე კარგად შეასრულა 18 წლის სპორტის ოსტატმა ს. პინეგინმა. მან ქვეყნის ნაკრების წევრებიც კი არ დაინდო, ხოლო უახლოეს მეტოქეს, 9 წლით უფროსს, კიეველ სპორტის ოსტატს ვ. სემიონოვს ორ წამზე მეტი მოუგო.

დღეს კი ბრძოლა სულ სხვაგვარად წარიმართა.

დილით ცოტა მოთოვა. კოხტაგორაზე ნისლი იდგა. ეს მხედველობას ხელს უშლიდა, მერე კი დათბა. მწვრთნელები, მონაწილეები საგონებელში ჩაცვივდნენ, აღარ იცოდნენ, რომელი საცხი შეერჩიათ.

სანკტ-მორიცის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეებს, სპეციალურ სლალომში საბჭოთა კავშირის ჩემპიონს, რიგელ ი. ციაგუნსსა და ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონს ს. გრიშჩენკოს წილისყრით მეზობელი სასტარტო ნომრები (19 და 20) შეხვდათ. მათ წინ საკმაოდ ტიტულოვანი მოთხილამურეები ეშვებოდნენ. მაგალითად, სწრაფდაშვებაში ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონი ა. გოლუბკოვი მესამე მიდიოდა, ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი და „ლელოს" პრიზის წლევანდელ გათამაშებაში გამარჯვებული, მოსკოველი ა. ტორმოსინი — მეთოთხმეტე. ეს ხელსაყრელი იყო ციაგუნსისა და გრიშჩენკოსთვის. მართალია, სანკტ-მორიცში მათ წარმატება არ მოუპოვებიათ, მაგრამ ვფიქრობდით, რომ მსოფლიოს საუკეთესო სამთომოთხილამურეებთან შეჯიბრებით უთუოდ გაიმდიდრებდნენ გამოცდილებას, რაც შინ გამოადგებოდათ. მაგრამ ციაგუნსი საერთოდ საპრიზო ათეულის მიღმა დარჩა, გრიშჩენკო კი IV ადგილს დასჯერდა.

საქართველოს კოლექტივი თავის შესაძლებლობებზე სუსტად გამოვიდა, თუმცა წვრთნისთვის კარგი პირობები ჰქონდა. მართალია, მიტარბი — კოხტა II სწრაფდაშვების ტრასის გამოყენება გვიან დაიწყეს, მაგრამ სტუმრებთან შედარებით ჩვენებმა მაინც ბევრი ივარჯიშეს. მაგრამ, როგორც ჩანს, მარტო ფიზიკური და ტექნიკური მომზადება არ კმარა. დიდი სტარტებისთვის მორალურ მზადყოფნასაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. გუნდს ჩათვლა სამმა მონაწილემ მისცა: გ. ჯიჩოევმა (ბორჯომი, „დინამო") IX ადგილი დაიკავა, ი. ნასყიდაშვილმა (თბილისი, „ბურევესტნიკი") — XI, იუნიორებიდან კი გუნდს მხოლოდ თბილისის არმიელმა ა. ნავერიანმა არგო — 4,5 ქულა მოუტანა.

### ტექნიკური შედეგები

ვაჟები. ა. გოლუბკოვი (მოსკოვის ოლქი, შეიარაღებული ძალები) — 1.52,40; ვ. სემიონოვი (უკრაინა, „დინამო") — 1.52,98; შ. ვერეზგოვი (ლენინგრადის ოლქი, „სპარტაკი") — 1.53,71; ს. გრიშჩენკო (ლენინგრადი, „შრომითი რეზერვები") — 1.53,86; ვ. ციგანოვი (მურმანსკის ოლქი, „ტრუდი") — 1.54,52; ს. პინეგინი (ბელორუსია, „ბურევესტნიკი") — 1.55,0.

იუნიორები. ა. ეგოროვი (ბელორუსია, „ბურევესტნიკი") — 1.57,18; ვ. ხინეტოვი (კამჩატკის ოლქი, „სპარტაკი") — 1.58,59; ს. მიშუტინსკი (ლენინგრადის ოლქი, „ეროჟაი") — 1.59,11; ვ. ტინდარიანოვი (მოსკოვის ოლქი, შეიარაღებული ძალები) — 1.59,63; ვ. ბეზკურსკი (ლენინგრადი, „ტრუდი") — 2.00,89; ვ. კორშუნოვი (ბრიანსკის ოლქი, „სპარტაკი") — 2.00,34.

გუნდური შედეგები. უკრაინა — 61 ქულა, მოსკოვის ოლქი — 58,5, ლენინგრადის ოლქი — 52, ლენინგრადი — 49,5, ბელორუსია — 44, მურმანსკის ოლქი — 35, საქართველო — 26,5.

• • •


ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათებზე: ზევით — ერთადგილიანი ციგებით იუნიორებში გამარჯვებულნი (მარცხნიდან) ვ. ჟუკი (II ადგილი), ი. მაშიროვი (I ადგილი) და ი. სალტიკოვი (III ადგილი); ქვევით — ჩემპიონი ორჭიდელთა შორის ვ. კოპაევი.

ა. კოტორაშვილის ფოტო და გ. რუხაძის ტელეფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრკ ხალხთა ზამთრის სპარტაკიადა 1974

# სვერდლოვსკის სტარტებზე

სვერდლოვსკში სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის სარბიელზე 1150 სპორტსმენი გამოდის — მოციგურავეები, ფიგურისტები, მოთხილამურეები და ბიატლონისტები.

სრული პროგრამით ასპარეზობენ მოსკოველები, ლენინგრადელები, უკრაინის, ბელორუსიის, ყაზახეთის გუნდები, აგრეთვე, მასპინძლები — სვერდლოვსკის ოლქის ნაკრების წევრები. ყველა სახეობაში, ოღონდ არასრული შემადგენლობით, გამოდიან ლიტვისა და ლატვიის გუნდები. თეთრი სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ რამდენიმე სახეობაში ასპარეზობენ საქართველოს, სომხეთის, ესტონეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის სპორტსმენები. რუსეთის ფედერაციის სპორტულ ღირსებას ყველა სახეობაში დაიცავენ ოლქების, მხარეებისა და ავტონომიური რესპუბლიკების უძლიერესი ნაკრები კოლექტივები.

საინტერესოა, რომ სვერდლოვსკში ტაჯიკეთის სახელით გამოდის... ერთი კაცი — მრბოლელი ვ. სმაკოტინი.

9 მარტს სვერდლოვსკის ცენტრალურ სტადიონზე აინთო სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის ცეცხლი და დაიწყო ფინალური ასპარეზობა, რომელიც 17 მარტამდე გასტანს.

ფინალის გახსნის ცერემონიალი ზადღესასწაულო და ამაღელვებელი იყო. სპორტსმენთა კოლონამ საზეიმოდ გაიარა ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში, მათ გულთბილად მიესალმებოდნენ სვერდლოვსკელები.

ზეიმის ძირითადი ნაწილი ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა. სპორტსმენებს მიესალმნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ს. პ. პავლოვი და საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, სვერდლოვსკის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ა. ვ. ბორისოვი. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა სპარტაკიადისადმი წაიკითხა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ს. არუთინიანმა.

სპარტაკიადის ცეცხლი აანთო მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა ბურთიან ჰოკეიში, სვერდლოვსკის საპატიო მოქალაქემ ნ. დურაკოვმა.

ფინალური შეჯიბრებები 17 მარტამდე გასტანს.

ვარაუდი, რომ სიქტივკარელი ახალგაზრდა მოთხილამურე ვ. როჩევი საბჭოთა მრბოლელთა ლიდერი გახდებოდა, სპარტაკიადის ფინალურ ასპარეზობაში დადასტურდა. როჩევმა 30-კილომეტრიანი დისტანცია ყველაზე სწრაფად გაიარა — 1:40.01. ვერცხლის მედალი დაისაკუთრა მოსკოველმა ფ. სიმაშოვმა — 1:40.23. ბრინჯაოს ჯილდო ხვდა რუდნელ ი. გარანინს (ყაზახეთი) — 1:41,10.

ქალთა შეჯიბრებაში ორი დღის მერე გაიმარჯვა გორკელმა სტუდენტმა ტ. ავერინამ. მას სპრინტერულ მრავალჭიდში საუკეთესო მაჩვენებელი აქვს — 182,605. 500 მეტრზე ავერინამ ბრწყინვალე შედეგი მოიპოვა — 44,54, 1000 მეტრზე იგი ჩამორჩა კიეველ ტ. შელეხოვას, რომელმაც საციგურაო რეკორდი დაამყარა — 1.31,7. მაგრამ მრავალჭიდში შელეხოვამ ბრინჯაოს მედალი მიიღო, ვერცხლის ჯილდო კი ლ. სადჩიკოვას (სმოლენსკის ოლქი) დაუთმო.

ვაჟთა შეჯიბრებაში იშვა პირველი საკავშირო რეკორდი უფროსი ასაკის ჭაბუკებისთვის. ეს მიღწევა დაამყარა 17 წლის ა. დემიდოვმა (გორკის ოლქი), რომელმაც კილომეტრიან დისტანციაზე 1.23,34 აჩვენა. მრავალჭიდში ოქროს მედალი დაისაკუთრა ლენინგრადელმა ვ. კამჩეიმ — 164,975.

* * *



სურათზე: ვ. როჩევი დისტანციაზე.

### ტექნიკური შედეგები

**სათხილამურო სპორტი.** ქალები. 5 კმ-ზე რბოლა: 1. გ. კულაკოვა (უდმურტეთის ასსრ) — 17.30,89; 2. ნ. სელიუნინა (მარითის ასსრ) — 17.42,55; 3. ზ. ამოსოვა (ნოვოსიბირსკის ოლქი) — 17.44,77; 4. ნ. ბალდიჩევა (ლენინგრადი) — 17.48,54; 5. რ. სმეტანინა (კომის ასსრ) — 17.52,14; 6. ლ. მუხაჩოვა (ლენინგრადი) — 17.55,01.

# თბილისს სჭირდება მეორე გუნდი

თბილისი დიდი და მდიდარი საფეხბურთო ტრადიციების ქალაქია. ამ თამაშს ჩვენს დედაქალაქში საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში. შეიქმნა რამდენიმე გუნდი, რომლებიც ერთმანეთთან ბრძოლით, ნამდვილი სპორტული კონკურენციით განუხრელად იმაღლებდნენ ოსტატობას, სრულყოფდნენ ტექნიკას, ეუფლებოდნენ თამაშის პროგრესულ ტაქტიკურ საფუძვლებს. ამ ბრძოლებში იზრდებოდნენ და იწრთობოდნენ ტყავის ბურთის ის ბრწყინვალე ოსტატები, რომლებიც შემდგომში ქართული ფეხბურთის ოქროს ფონდში შევიდნენ და საქვეყნოდ სახელი გაუთქვეს თბილისის „დინამოს" კოლექტივს.

საუკეთესო მოთამაშეთა კონცენტრაცია და თავმოყრა ერთ გუნდში აუცილებელ საჭიროებად იქცა. წინააღმდეგ შემთხვევაში ახლა არ გვეყოლებოდა საბჭოთა ფეხბურთის ავანგარდის ისეთი წარმომადგენელი, როგორიც თბილისის „დინამოა". ბევრი პირველხარისხოვანი ოსტატი მისცეს ჩვენს პირველ გუნდს თავის დროზე ფოთმა, სოხუმმა, ბათუმმა, შემდეგ — ქუთაისმა, აგრეთვე, რესპუბლიკის რაიონებმა. თბილისის „დინამო" სისტემატურად ივსებოდა და მძლავრდებოდა ახალი კადრებით, ახალი ტალანტებით პერიფერიებიდან, მაგრამ თვით ქალაქში მუდამ იყო რამდენიმე ძლიერი გუნდი, რომლებიც ქმნიდნენ საფეხბურთო ცხოვრებას დედაქალაქში, მუდამ დაინტერესებული ჰყავდათ ამ თამაშის მოყვარულები და გულშემატკივრები. ასეთები იყვნენ ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდი, ტსპო, ოფიცერთა სახლის გუნდი, „ლოკომოტივი", „სპარტაკი" და სხვანი.

ახლა ეს ტრადიცია, ტრადიცია რამდენიმე მაღალკვალიფიციური გუნდის ყოლისა, შეწყდა. თბილისი, ქალაქი თითქმის მილიონიანი მოსახლეობით, ფაქტიურად შემყურეა ფეხბურთელთა ერთადერთი კოლექტივის — „დინამოსი". ათეულ ათასობით გულშემატკივარი მთელი სეზონის მანძილზე მოწმეა სულ 15-18 მატჩისა დინამოელთა მონაწილეობით. ეს ძალზე ცოტაა იმ ინტენსიური საფეხბურთო ცხოვრებისთვის, რომელიც გვჭირდება ჩვენ, მაყურებლებს, სჭირდებათ ნორჩ მოთამაშეებს, ჭაბუკებს, რომლებიც ხვალ-ზეგ უნდა გამოვიდნენ დიდ სარბიელზე.

ჩვენ გვახსოვს ის დრო, როცა სხვა ქალაქებიდან თბილისში ჩამოსული უძლიერესი გუნდებიც კი მარცხს მარცხზე განიცდიდნენ არა მარტო დინამოელებისგან, არამედ სხვა კლუბებისგანაც. თბილისური ფეხბურთის სკოლა არსებობდა, საქვეყნოდ იყო განთქმული და მას ყველა უწევდა ანგარიშს. ბოლო წლების მანძილზე თბილისს ჰყავდა „ა" კლასის I ჯგუფის წარმომადგენელი — „ლოკომოტივი", რომელიც საკავშირო სარბიელზე გამოდიოდა, მაგრამ იგი დაიშალა და 1971 წლიდან აღარ არსებობს.

ფეხბურთის მოყვარულთა ერთმა ჯგუფმა, საქართველოს გამოჩენილმა ადამიანებმა, ღია წერილით მიმართეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტს, რათა თბილისში აღდგეს ადრინდელი ტრადიციები, კვლავ შეიქმნას გუნდი, რომელიც შეძლებს საკავშირო ასპარეზზე გამოსვლას და ბრძოლას ძლიერთა შორის:

„ამას წინათ „ლელოში" წავიკითხეთ ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის ინტერვიუ, სადაც საუბარი იყო ქართული ფეხბურთის აქტუალურ, საჭირბოროტო პრობლემებზე. ბევრი სერიოზული საკითხი განხილული იყო ახლებურად, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. ამასთან დაკავშირებით გადავწყვიტეთ საჯაროდ გამოგვეთქვა ჩვენი გულის სატკივარი და, ვფიქრობთ, იგი მხარდაჭერას ჰპოვებს იმ გულშემატკივართა შორის, რომელთათვისაც აგრეთვე ახლობელი და ძვირფასია სპორტის ამ სახეობის ბედ-იღბალი.

საქართველოს ჭაბუკი ფეხბურთელები ყოველ წელს გვახარებენ საკავშირო სარბიელზე მიღწეული გამარჯვებებით, ახალ-ახალი წარმატებებით. შარშან მათ მოიგეს თითქმის ყველა დიდი შეჯიბრება და ბევრი ოქროს მედალი მოიპოვეს. რა თქმა უნდა, ამ ფეხბურთელთა შორის არიან ნიჭიერი, პერსპექტიული თბილისელი მოთამაშეები, რომელთა რიცხვიდან შეიძლება აღიზარდონ ნამდვილი ოსტატები, მაგრამ ამ ფეხბურთელთა დიდმა ნაწილმა მიაღწია ჭაბუკთა ასაკის ზღვარს და წლეულს მოზარდთა კატეგორიაში ველარ ითამაშებენ. რა ვუყოთ მათ? გასაგებია, რომ ყველა ვერ მოხვდება თბილისის „დინამოს" დუბლშემადგენლობაში, არც ისაა საიდუმლო, რომ დიდი ფეხბურთისთვის ადრეულ ასაკში ყველა ვერ შლის თავის შესაძლებლობებს და ნიჭს ავლენს უფრო გვიან, შეიძლება, რამდენიმე წლის შემდეგაც.

სწორედ ესაა ჩვენი საფიქრალი. განა დასაშვებია, რომ, თუ ახალგაზრდა მოთამაშე ახლა ვერ მოხვდა „დინამოს" დუბლშემადგენლობაში, საერთოდ დაიკარგოს ფეხბურთისთვის? თბილისში ხომ სხვა მაღალი კვალიფიკაციის გუნდი არა გვყავს!

სწორედ ამიტომაა საჭირო აღორძინდეს დედაქალაქში გუნდი, რომელიც პერსპექტიულ, ნიჭიერ მოთამაშეთათვის თავისებურ ხიდად იქცევა ჭაბუკთა ფეხბურთსა და თბილისის „დინამოს" ოსტატთა კოლექტივს შორის. მრავალი წლის მანძილზე ასეთი ხიდის ფუნქციები ეკისრებოდა თბილისის „ლოკომოტივს", რომელიც „ა" კლასის I ჯგუფში გამოდიოდა და სწორედ იმ ახალგაზრდულ ფეხბურთს ემსახურებოდა, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. რა მტკიცება უნდა იმას, რომ I ლიგის ძლიერი გუნდების დაძაბულ ბრძოლებში ახალგაზრდები მიიღებენ საჭირო გამოცდილებას, გამოიწრთობიან და დიდ გზაზე გამოვლენ! ჩვენი ფეხბურთის „ჭეჭილი" სწორედ აქ მომწიფდება და დაპურდება.

თბილისის „ლოკომოტივის" მატჩებს სიცოცხლე შეჰქონდა ქალაქის საფეხბურთო ცხოვრებაში, ავსებდა სანახაობრივ პაუზებს სეზონის მანძილზე. იგი დაიშალა და ამის მიზეზი რამდენადმე მაინც დასაბუთებული სპორტული პრინციპით არ მომხდარა. მოტივი, რომლითაც ამ გუნდის „გაწდევნა" მოხდა, იმდენად უსუსურია, რომ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. გაიხსენეთ რამდენი მაყურებელი ესწრებოდა ლოკომოტიველთა მატჩებს თბილისის „დინამოს" სტადიონზე, ახლა კი ჩვენც მოგვაკლდა I ლიგის მატჩების ნახვის სიამოვნება და მრავალი ტალანტიც ფეხბურთის მიღმა დარჩა. ნუთუ ისეთი მდიდრები ვართ, რომ ასე „ხელგაშლილად" შეგვიძლია შეველიოთ „ა" კლასის გუნდს?

ახლა სრული სიმწვავით დგას საკითხი, რომ აღვადგინოთ ეს „ჩატეხილი ხიდი", კვლავ შევქმნათ თბილისში მეორე გუნდი, რომელიც მას მაერივით ესაჭიროება. ამას მოითხოვს ჩვენი ფეხბურთის ინტერესები, ჩვენი საზოგადოებრიობა, გულშემატკივრები.

**ზ. სარალიძე**, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატი, **გ. დარისპანაშვილი**, საქართველოს სახალხო არტისტი, **ვ. შანიძე**, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, **ე. ამაშუკელი**, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი, **ქ. მახარაძე**, საქართველოს სახალხო არტისტი, **გ. ქავთარაძე**, საქართველოს კომკავშირის სახელობის პრემიის ლაურეატი, **მ. ხატელიშვილი**, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, **ნ. ჩხატარაშვილი**, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, **ვ. რამიშვილი**, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, **ა. სანებლიძე**, ჟურნალისტი, „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქტორი, **ო. ლორთქიფანიძე**, ჟურნალისტი, „მოლოდიოჟ გრუზიის" რედაქტორი, **გ. ცაბაძე**, იურისტი".

# მეტოქის თვალით დანახული გამარჯვება

სსრ კავშირის ჩემპიონატი

თბილისი. სპორტის სასახლე. 9 მარტი.

„დინამო" (თბილისი) — „კალევი" (ტარტუ) 89:87 (51:46).

„დინამო": მ. ქორქია (30), ძიძიგური (20), ფიცხელაური (15), ჯგერენაია (8), ქარაბაკი (8), ბიჭიაშვილი (2), ჩიხლაძე (2), ნარიმანიძე (2), ჩხიკვაძე (2).

„კალევი": ტომსონი (35), სალუმეტსი (25), ტამისტე (19), კრიკუნი (4), ფილატოვი (2), ლენციუსი (2), ტიქსი, ილვესი.

მსაჯები: მ. დავიდოვი, მ. სტეპანოვი (ორივე — მოსკოვი).

დუბლიორები — 95:97 (49:40, 87:87).

— ჩემთვის ეს შედეგი იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ლაპარაკიც მიჭირს.

— კი მაგრამ, ნუთუ ასე ღრმად იყავით დარწმუნებული გამარჯვებაში?

— საქმე ისაა, რომ დღეს ჩვენი გუნდი საბოლოოდ გამოეთხოვა III ადგილს. არადა, თბილისში მტკიცე რწმენითა და კონკრეტული გეგმებით ჩამოვედით. ისე ნუ გამიგებთ, თითქოს თბილისის „დინამო" იოლ მეტოქედ მიგვაჩნდა, მაგრამ საკანდელიძის, ბოლქვაძისა და პულავსკის დაშავებამ უფლება მოგვცა უკეთეს შედეგზე გვეფიქრა. ყოველ შემთხვევაში, ასეთი რეალური შანსი სხვა დროს ალბათ არც გვექნება.

ეს საუბარი „ლელოს" კორესპონდენტსა და ესტონელთა ლიდერს ი. ლიპსოს შორის შედგა მატჩის დამთავრების შემდეგ. ლიპსო აშკარად გულდაწყვეტილი იყო და ალბათ ჰქონდა კიდეც ამის საბაბი, მაგრამ ერთი რამ დაავიწყდა: დღეს ტრავმის გამო არც მას მიუღია თამაშში მონაწილეობა, ეს კი „კალევისთვის" არც ისე უმნიშვნელო დანაკლისი იყო.

მერე, როცა უკვე განელდა მარცხით გამოწვეული პირველი შთაბეჭდილება, ჩვენმა საუბარმა უფრო კონკრეტული ხასიათი მიიღო. და მე გადავწყვიტე ამ წერილის საფუძვლად სწორედ ლიპსოს აზრები დამედო.

ესტონელებისთვის ბევრი რამ გამოდგა მოულოდნელი ამ მატჩში. პირველ ყოვლისა ისინი აღტაცებული იყვნენ ძიძიგურის თამაშით. ასეთია კერძოდ ლიპსოს აზრი, ადამიანისა, რომელიც დიდხანს ცენტრალური თავდამსხმელის ეტალონად ითვლებოდა საბჭოთა კალათბურთში.

— ჩვენ, — განაგრძო ლიპსომ, — ყურადღება ძირითადად გადატანილი გვქონდა ქორქიაზე, ვინაიდან ყველაზე მეტ უსიამოვნებას მისგან მოველოდით. ქორქიამ მართლაც უნაკლოდ ითამაშა, მაგრამ ამ პრობლემას ასე თუ ისე გადავჭრიდით, სრულიად მოულოდნელად ჩვენს წინაშე რომ არ წამოჭრილიყო ახალი პრობლემა, ძიძიგურის სახით. გულახდილად უნდა ვთქვა, რომ საამისოდ არც მე და არც ჩემი ამხანაგები არ ვიყავით მომზადებული.

— მოულოდნელი აღმოჩნდა ასევე ფიცხელაურის, ქარაბაკისა და ჯგერენაიას თამაში. ფიცხელაურსა და ქარაბაკს უწინაც ვიცნობდი, მაგრამ მეგონა, რომ მათ თავიანთი სათქმელი კალათბურთში უკვე თქვეს და ახლა გუნდში მხოლოდ საგანგებო შემთხვევის გამო იყვნენ მოწვეული. აქაც, ამ შეფასებაშიც, შეცდომა დავუშვით, ვინაიდან ქარაბაკმაც და განსაკუთრებით ფიცხელაურმაც ბევრი უსიამოვნება მოგვაყენეს.

— მე რომ მკითხოთ, თბილისის „დინამოს" არც ისე ცუდად აქვს რეზერვის საქმე. ყოველ შემთხვევაში, სამი წამყვანი მოთამაშის არყოფნა გუნდმა საკმაოდ უმტკივნეულოდ გადაიტანა. ეს კი ბევრს ნიშნავს.

ლიპსო ერთშია მართალი: გაჭირვება ზოგჯერ ერთადერთი სწორი გზის მაჩვენებელი ხდება და თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობამ მიაგნო ამ გზას. ამიტომაც ტარტუს „კალევთან" გამარჯვება მხოლოდ სატურნირო მნიშვნელობით არ უნდა განვსაზღვროთ. მან გუნდში ერთგვარი ფსიქოლოგიური გარდატეხაც უნდა მოახდინოს. ამას კი ჩემპიონატის ფინიშზე დიდი მნიშვნელობა აქვს.

ნ. გუგუშვილი.

## 106 : 85

**მოსკოვი,** 9 მარტი. ჩემპიონატის მორიგ კალენდარულ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ცსკა და რიგის არმიელები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 106:85 (64:38).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 მარტისთვის

| | თ. | მ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 21 | 20 | 1897—1632 | 20 |
| „სპარტაკი" | 20 | 16 | 1529—1346 | 16 |
| „სტროიტ." | 20 | 12 | 1714—1627 | 12 |
| „კალევი" | 21 | 11 | 1704—1636 | 11 |
| „დინ." (მ) | 19 | 10 | 1528—1497 | 10 |
| „დინ." (თბ) | 20 | 9 | 1543—1581 | 9 |
| „ვალგირ." | 19 | 6 | 1476—1532 | 6 |
| რტი | 19 | 5 | 1330—1568 | 5 |
| ასკ (რიგა) | 19 | 5 | 1466—1632 | 5 |
| ასკ (კიევი) | 20 | 5 | 1509—1645 | 5 |



## მოშიაშვილი — ევროპის ჩემპიონი

შვეციის ქალაქ გეტებორგში ორ დღეს გაგრძელდა მძლეოსანთა ევროპული პირველობა დახურულ დარბაზში. სამი ოქროს მედალი მოიხვეჭეს საბჭოთა მძლეოსნებმა.

60 მეტრზე რბენის ფინალში ვაჟთა შორის სამი საბჭოთა სპორტსმენი მონაწილეობდა. გაიმარჯვა ვ. ბორზოვმა (კიევი) — 6,58. მოსკოველმა ა. კორნელიუკმა III ადგილი დაიკავა — 6,66, ხოლო რიგელმა ი. სილოვმა — მეხუთე (6,68).

სიმაღლეზე მხტომელ 23 ვაჟში ყველას აჯობა ვილნიუსელმა კ. შაპკამ — 222 სმ.

მესამე ოქროს მედალი საბჭოთა გუნდს შესძინა თბილისელმა ა. მოშიაშვილმა, რომელმაც გაიმარჯვა 60 მეტრზე თარჯრბენში — 7,66.

400 მეტრზე რბენის ნახევარფინალში მოსკოველმა ნ. ილინამ მსოფლიო მიღწევით (52,44) დაასრულა შეჯიბრება, მაგრამ ფინალში მოულოდნელად წააგო იუგოსლაველ ე. პავლიჩიჩთან — 52,64.

• • •

სურათზე: წინაა ა. მოშიაშვილი.

## ტელეფონით

# კიდევ ორი მოგება

„ლელოს" კორესპონდენტი გუშინ ბელგრადში ტელეფონით ესაუბრა მსოფლიო ჩემპიონ ნ. გაფრინდაშვილს, რომელიც იქ 8 მარტისადმი მიძღვნილ ქალთა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს. მსოფლიო ჩემპიონმა ბოლო ორი (V, VI) ტურის შედეგები გადმოსცა.

— V ტურში, — თქვა ნონამ, — მხოლოდ ორი პარტია დარჩა დაუმთავრებელი. ერთი მედიანიკოვამ (სსრ კავშირი) გადადო, მეორე — ერთ-ერთმა ლიდერმა, პოლონელმა რაძიკოვსკამ.

საინტერესო იყო ძლიერი ოსტატების — ვერეცისა (უნგრეთი) და ვოკრუალოვას (ჩეხოსლოვაკია) შეხვედრა. ამჯერად უნგრელმა გაიმარჯვა. მე იუგოსლაველ შტადლერს მოვუგე, კატია იოვანოვიჩმა (იუგოსლავია) — ვასნეცკის (გფრ), მარკოვიჩმა — პიხაილიჩს (ორივე — იუგოსლავია). პრინციპული ბრძოლა გაჩაღდა იუგოსლავიის მოჭადრაკე ქალთა აღიარებული ლიდერის ლაზარევიჩისა და ამავე ქვეყნის ამჟამინდელი ჩემპიონის — კალხბრენერის შეხვედრაში. გაიმარჯვა კალხბრენერმა.

VI ტურში ყაიმით დასრულდა კალხბრენერ — ვერეცის პარტია. ვოკრუალოვამ მოუგო პიხაილიჩს, რაძიკოვსკამ (პოლონეთი)—ლაზარევიჩს, მე — ვასნეცკის. გადაიდო პარტიები: მედიანიკოვა — ბოჟკოვიჩი, იოვანოვიჩი — სებრიჩი, მარკოვიჩი—შტადლერი (ხუთივე — იუგოსლავია).

6 ტურის შემდეგ მე 5 ქულა და 1 გადადებული პარტია მაქვს, რაძიკოვსკას — 4,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ვერეცის — 4,5.

11 მარტს VII ტური გათამაშდა, 12-ში — VIII, ხოლო 13-ში გადადებული პარტიების დამთავრება გვექნება.

## ფეხბურთი-74

# სსრ კავშირის თასზე

განვლილ კვირას შედგა ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების ოცდამეთორმეტედფინალური ეტაპის განმეორებითი შეხვედრები.

ფდლერის სტადიონზე იაროსლავლის „შინიკმა" მიიღო ქუთაისის „ტორპედო". ქუთაისელებს პირველი შეხვედრა ლესელიძეში, მასპინძელთა როლში, მოგებული ჰქონდათ ანგარიშით 2:1. საჭირო იყო ამ წარმატების განმტკიცება და გუნდი გადიოდა მეთექვსმეტედფინალში, სადაც მისი მეტოქე იქნებოდა ერევნის „არარატი".

მაგრამ ქუთაისელებმა ვერ შეძლეს ამ ამოცანის შესრულება, თუმცა მატჩის მსვლელობაში არაერთხელ შეეძლოთ გოლის გატანა. კერძოდ, „შინიკის" კარის აღების კარგი შესაძლებლობანი ჰქონდათ შელიას, ბერულავას და სხვებს. ეს მომენტები არ იქნა გამოყენებული.

პირველი ტაიმის ბოლო წუთებზე „შინიკმა" ქუთაისელთა კართან გაითამაშა საჯარიმო. აქ შეცდომა დაუშვეს მცველებმა, არაზუსტად ითამაშა მეკარემაც და იაროსლაველელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ფროლოვმა თავით გაიტანა ბურთი, რომლის გაქვითვა „ტორპედომ" ვერ შეძლო. რახან „შინიკს" პირველ მატჩში მეტოქის კარში გატანილი ჰქონდა ბურთი, 2 შეხვედრის ჯამის მიხედვით გამარჯვება მას ხვდა წილად.

ქუთაისელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: კვერნაძე, კოსტავა, ქუთათელაძე, ბერულავა, ჭოხონელიძე, ჩახუნაშვილი (ჭოლაძე), ოქროპირაშვილი, ფარულავა, ფესტვენიძე, ხერხაძე, შელია.

ამ დღეს გაიმართა თასის სხვა მატჩებიც. სიმფეროპოლის „ტავრიამ", რომელსაც პირველ მატჩში ფრედ ჰქონდა ნათამაშევი კემეროვოს „კუზბასთან", მეორე მატჩი მოიგო ანგარიშით 3:2 და გავიდა მეთექვსმეტედფინალში. ნალჩიკის „სპარტაკმა" დაამარცხა აშხაბადის „სტროიტელი" — 1:0, დუშანბეს „პამირმა" — სვერდლოვსკის „ურალმაში" — 2:1, ხოლო ივანო-ფრანკოვსკის „სპარტაკმა" — კრასნოდარის „ყუბანი" — 2:0. ეს გუნდები, აგრეთვე, განაგრძობენ თასისთვის ბრძოლას.

# ვადები ცნობილია

ევროპის მორიგ ჩემპიონატში სსრ კავშირის ფეხბურთელები პირველ მატჩს გამართავენ 1974 წლის 30 ოქტომბერს ირლანდიელებთან, მეტოქის მინდორზე. მეექვსე შესარჩევი ჯგუფის დანარჩენ შეხვედრებს საბჭოთა ფეხბურთელები ჩაატარებენ 1975 წელს. აი, თამაშების განრიგი: 2 აპრილი — სსრ კავშირი — თურქეთი; 18 მაისი — სსრ კავშირი — ირლანდია; 12 ოქტომბერი — შვეიცარია — სსრ კავშირი; 12 ნოემბერი — სსრ კავშირი — შვეიცარია; 23 ნოემბერი — თურქეთი — სსრ კავშირი.

# ევროპული ტურნირები

განახლდა ფეხბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის, თასების მფლობელთა თასისა და უეფა-ს თასის ტურნირები. გაიმართა პირველი მეოთხედფინალური მატჩები.

### ჩემპიონთა თასი

„ბაზელი" (შვეიცარია) — „სელტიკი" („შოტლანდია") 3:2

„ცრვენა ზვეზდა "(იუგოსლავია) — „ატლეტიკო" (მადრიდი, ესპანეთი) 0:2

„ბაიერნი" (გფრ) — ცსკა „სეპტემვრიისკო ზნამე" (ბულგარეთი) 4:1

„სპარტაკი" (ტრნავა, ჩეხოსლოვაკია) — „დოჟა" (უიპეშტი, უნგრეთი) — 1:1.

### თასების თასი

„გლენტორანი" (ჩრ. ირლანდია) — „ბორუსია" (გფრ) 0:2

„მაგდებურგი" (გფრ) — „ბეროე" (ბულგარეთი) 2:0

„სპორტინგი" (პორტუგალია) — „ციურიხი" (შვეიცარია) 3:0

„მილანი" (იტალია) — პაოკ (საბერძნეთი) ითამაშებენ 13 მარტს.

### უეფა-ს თასი

„რუხი" (პოლონეთი) — „ფეიენოორდი" (ჰოლანდია) 1:1

„შტუტგარტი" (გფრ) — „ვიტორია" (პორტუგალია) 1:0

„კიოლნი" (გფრ) — „ტოტენჰემი" (ინგლისი) 1:2

„იფსვიჩი" (ინგლისი) — „ლოკომოტივი" (გდრ) 1:0.

## ჩუვირინა და კაკულია — ეგვიპტის ჩემპიონები

ქაიროში დამთავრდა ეგვიპტის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატი. შერეულ წყვილთა შეჯიბრებაში გაიმარჯვეს საბჭოთა ჩოგბურთელებმა — მოსკოველმა მ. ჩუვირინამ და თბილისელმა თ. კაკულიამ. ახლა საბჭოთა სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში ალექსანდრიაში. ეს ტურნირი 12—16 მარტს გაიმართება.

## ფრენბურთის ბადესთან

სტამბული, 10 მარტი. შესანიშნავად გამოვიდნენ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მოსკოვის „დინამოს" ფრენბურთელი ქალები. პირველ შეხვედრაში მათ ანგარიშით 3:0 (15:2, 15:1, 15:13) დაამარცხეს ბულგარეთის კლუბი „სპარტაკ ლევსკი". მეორე ნახევარფინალურ მატჩში უნგრეთის „ნიმის" ფრენბურთელებმა სძლიეს ბერლინის დინამოელებს — 3:1 (16:14, 14:16, 15:9, 15:12). ფინალში მოსკოველებმა დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს უნგრელები — 3:2 (15:6, 6:15, 12:15, 15:6, 15:11).

ბრიუსელი, 10 მარტი. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალურ ტურნირში შესანიშნავად იასპარეზეს რიგის „რადიოტექნიკის" ფრენბურთელმა ვაჟებმა. მათ გადამწყვეტ შეხვედრაში დაამარცხეს ვოროშილოვგრადის „ზვეზდა" — 3:0 (15:11, 15:9, 15:10). მანამდე „რადიოტექნიკამ" დაამარცხა პოლონეთის „რესოვია" — 3:0 (15:9, 15:4, 15:13), ხოლო „ზვეზდამ" დაამარცხა იტალიის „ლიბიამი" — 3:1 (15:6, 6:15, 15:6, 15:4). II ადგილზე გავიდა „ზვეზდა". III ადგილისთვის ბრძოლაში „რესოვიამ" დაამარცხა „ლიბიამი" — 3:0 (15:12, 15:3, 15:13).

● ტრშინეცი, 10 მარტი. ჩეხოსლოვაკიის ამ ქალაქში გაიმართა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა თასის გათამაშება, რომელიც ქალთა საერთაშორისო დღეს მიეძღვნა. ამ X ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ავსტრიის, ბულგარეთის, გდრ-ის, გფრ-ის, უნგრეთის, კუბის, პოლონეთის, იუგოსლავიის, საფრანგეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის სპორტსმენები. გაიმარჯვა 15 წლის ომსკელმა მოსწავლემ ლ. ბილიკინამ. მეორე საბჭოთა სპორტსმენი, სტავროპოლელი ი. კირილენკო IV ადგილზე დარჩა.

● მოსკოვი, 10 მარტი. ბურთიან ჰოკეიში საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში ადგილობრივმა დინამოელებმა სძლიეს სვერდლოვსკელ არმიელებს ანგარიშით 5:4 და ვადამდე მეთერთმეტედ გახდნენ სსრ კავშირის ჩემპიონები.

● ულან-ბატორი, 10 მარტი. მონღოლეთის დედაქალაქში დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, კუბის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, იაპონიის, სსრ კავშირისა და მონღოლეთის სპორტსმენები. ექვსი საბჭოთა მოჭიდავიდან ხუთმა საპრიზო ადგილი მოიპოვა. მათგან საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ მსოფლიოს და ევროპის ექს-ჩემპიონი, კიეველი ვ. გულიუტკინი, აგრეთვე, მისი თანაქალაქელები: ვ. პოტაპენკო, ლ. გადაიჩუკი და ბ. ბიგაევი.

● პარიზი, 10 მარტი. სამ წელიწადს შესვენების შემდეგ ცსკა-ს რაპირისტებმა მოიპოვეს ევროპის თასი ვაჟთა შორის ჩემპიონი გუნდებისთვის. ფინალში ისინი შეხვდნენ საფრანგეთის ქალაქ მელონის მოფარიკავეებს — ამ პრიზის მფლობელებს ბოლო წლებში. შეხვედრა ძალიან დაძაბული გამოდგა. ამაზე მეტყველებს საერთო ანგარიშიც — 8:8, მაგრამ ჩხვლეტების რაოდენობა საბჭოთა რაპირისტებს უკეთესი აღმოაჩნდათ: მიყენებული — 61, ხოლო მიღებული — 58.

## ერატი მსოფლიო ჩემპიონი გახდა

მიუნჰენში დამთავრდა ფიგურულ მოციგურავეთა მსოფლიო ჩემპიონატი. ბოლო დღეს გამოვლინდნენ გამარჯვებულნი ქალთა ინდივიდუალურ ციგურაობაში. მსოფლიო ჩემპიონი პირველად გახდა გდრ-ის წარმომადგენელი კ. ერატი. მას მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ამერიკელმა დ. ჰემილმა, რომელიც გამარჯვებულს 2,24 ქულით ჩამორჩა. ერატმა 230,95 ქულა დააგროვა. ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭა ჰოლანდიელმა დ. დე ლეუვმა. საბჭოთა მოციგურავე ლ. ბაკონინა მე-18 ადგილზე აღმოჩნდა.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 04502